საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030185364388820

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/11632 **24 / სექტემბერი / 2020 წ.**

COVID-19-ის დიაგნოზის საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის მობილიზებულ კლინიკებს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში 24 სექტემბრის მდგომარეობით დაფიქსირებულია ახალი კორონავირუსის 4399 დადასტურებული შემთხვევა, ამასთან კარანტინის რეჟიმში იმყოფება 5584 პირი, ხოლო გარდაცვლილია 25.

ბოლო დღეებში მკვეთრად გაზრდილი შემთხვევების პარალელურად, COVID-19-ის დიაგნოზის საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის, ქვეყანაში უმოკლეს ვადაში განხორციელდა 35 სტაციონარში 2522 საწოლის მობილიზება. აღნიშნულ სიტუაციაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შემთხვევების მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი პერსონალის სტანდარტული ტრენინგების პარალელურად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლინიკური კონსულტანტების მექანიზმის ამოქმედება.

კერძოდ, COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვის მიმწოდებელ ყველა სტაციონარულ დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, ცალკეულ შემთხვევებში (მძიმე, კრიტიკულ და საშუალო სიმძიმის მიმდინარეობისას), საჭიროების მიხედვით, მოიწვიოს კონსულტანტები, მათ შორის COVID-19-ის კლინიკური მართვის გამოცდილების მქონე კლინიკებიდან, ასევე, პრაქტიკული მუშაობის და ექსპერტული გამოცდილების მქონე სპეციალისტები შინაგანი მედიცინის, ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის, ინფექციურ სნეულებათა სპეციალობის, ეპიდემიოლოგიის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ კონსულტანტების მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება დადასტურებული COVID-19-ის ფაქტობრივი ხარჯის ფარგლებში.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და უზრუნველყოთ შესაბამისი კონსულტანტების მოწვევა საჭიროების შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი წოწკოლაური